

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეუბნების რედაქციისათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАКЦІИ „ДРОЕБА“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ., 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრუქტურულ-ტექნიკური ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გავსწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუზუსტებელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნაშკრი „დროებისა“ ღირს 5 კაპიეკი.

## „დროების“ ფასი სექტემბრის 4-დამ წლის დამლევამდე 4 მანათი.

გამოვიდა და ისუილება

„დროება“

ქართული წერისა

შედეგად იხარება გოგებაშვილისაგან. ფასი ექვსი შაურია. ვინც ერთად იყიდას ანა საკლები რედაქციას, დედანი დაე-თმობა სუთ შაურად. მასწავლებელთათვის დარიგებათ (რომელიც იხსნება) კლირება ორ ანაზად. დარიგების ფასი ცალკე სამი შაურია. (3-1)

### საუნივერსიტეტო წესდების ცვლილება

თბილისი, სექტემბრის 4-ს.

ღიღის ხნის მოლოდინის შემდეგ რუსეთის უნივერსიტეტებმა ახალი წესდება შეიძინეს და ეს წესდება ამ შემოდგომიდან ძალაში შევა. თუმცა სახელმწიფო რჩევაში უმრავლესობა წინააღმდეგი ყოფილა ახლის წესდებისა, მაგრამ უმაღლესად უნებნობათ უმცირესობის აზრის დამტკიცება. უმცირესობაში რეულა აგრეთვე მინაურ საქმეთა მინისტრი ბ. ტოლსტოი.

აქამდის გამგეობა უნივერსიტეტისა

«დროების» ძეგლტანი, სექტ. 4-ს.

### საზოგადოების მსხვერპლი

(მოთხოვა გუი-დე-მოასანისა).

ლიუბენის რკინის-გზის სტანციაზე რომ მოვედი, დახედე საათს. აქ არი საათი უნდა გაჩერებულიყო ორთქლით მატარებელი. ამ ხანის განმავლობაში არ ვიცოდი სწორედ, რა მექნა და როგორ გამეტარებინა დრო. ლიუბენი ერთობ პატარა ქუჩიანი ქალაქია. ნაცნობი არავინა მყვანდა. ბამოვედი ქუჩაში, მივიხედ-მოვიხედე და ქუჩის ბოლოს დავინახე ჯგუფად ხეები. ძალიან გამეხარდა, რადგანაც ბაღი მეგონა და გავმგზავრე კიდევ. ქუჩაში საშინელი სიჩუმე იდგა. აქაიქ ძალიან და კატის მეტს ვერავის შეხედებოდა კაცი. საშინლად მომწყინდა სწორედ. მათ ხანად შევდექი შუა ქუჩაში და ვკითხავდი ჩემს თავს — გავაგრძელო გზა თუ უკანვე დაებრუნდე-მეთქი. ამ ფიქრში შემომესმა ფეხის ხმა, გავიხედე და დავინახე, მიცვალბულს მოასენებდნენ. როგორც უსაქმო კაცი, მიამა ამის და-ნახვა. მიცვალბულს უმღოდლოდ მიასვენებდნენ. თან მისდევდა რვა თუ ცხრა კაცი. შევლაზე წინ მოდიოდა

თითქმის სრულად მინდობილი ჰქონდა უნივერსიტეტის რჩევას, შემდგარს პროფესორებისაგანვე. როდესაც ვაკნისია ვახსენებოდა პროფესორისა, თითონ პროფესორები ირჩევდნენ ახალს ხმის უმეტესობით. თუ, ვინცობაა, სტუდენტები დააშავებდნენ რასმე, სჯიდა მათ უნივერსიტეტისავე სამსჯავრო, რომელსაც აგრეთვე პროფესორები შეადგენდნენ. მართის სიტყვით — უნივერსიტეტებს ჰქონდათ მინიჭებული თვით-მმართველობა და მინიჭებული ჰქონდათ იმიტომ, რომ, რაკი უნივერსიტეტები უმაღლესნი სასწავლებლებნი არიან და ამჟამად ყოველ-გვარ სა-მოქალაქო ასპარეზისათვის ჯეროვანად განვითარებულ ყმაწვილ-კაცობას, ამ განვითარების მიმცემი — პროფესორების კოლეგია, ცნობილი იყო, როგორც საუკეთესო გამგებელი და მსაჯული ყოველ-გვარ საუნივერსიტეტო საქმეებში.

ახალი წესდება ძირეულად სცვლის როგორც პროფესორების ერთმანეთ მოზრის დამოკიდებულებას, ისე დამოკიდებულებას პროფესორებისა და სტუდენტების მოზრის. უნივერსიტეტის რჩევის მაგივრად სასწავლებლის

ერთი ახალ-გაზდა ყმაწვილი კაცი და ცხარე ცრემლითა ტიროდა. მს უთუოდ სამოქალაქო დასაფლავება არის-მეთქი, ვიფიქრე გუნებაში. შექველია, ამ ქალაქშიც მოიპოვებოდა ასიოდე ადამიანი, რომელნიც თავისუფალი აზრისანი იყვნენ და არ საჭიროებდნენ თავიანთი ცხედრის გამოსასვენებლად მღვდელი მოეპატიჟნათ. ამ გარემოებამ აღძრა ჩემში ცნობის მოყვარება და მინდოდა უეჭველად შემეტყუო რამე. მეც შევეუერთდი ამ პროცესისა და გავყევი. ხალხმა გავკვირვებით დამიწყო ყურება და მოჰყვნენ ერთმანეთში ჩურჩულს. მე ძალიან უხერხულად ვგრძობდი ჩემს თავს; ბოლოს მინდოდა მომესპო ეს მდგომარეობა, მიეუახლოვდი ჩემს გვერდით მიმავალს კაცს, თავი დაეუკარ, ქუდი მოეუხადე და ეკითხე:

— უკაცრავად, ბატონო, რომ გავუხებთ. როდესაც დავინახე უმღოდლოდ მიცვალბული, ძალიან გამიკვირდა და ცნობის მოყვარება აღმძვრა, — ვინ არის ეს მიცვალბული?

— მს გახლავსთ ქალი, — მომიგო მან.

ამ პასუხმა უფრო გამაკვირვა, რადგან ჩვენში ქალები მორწმუნენი და ღვთისსიერნი არიან.

უფროსად იქნება რექტორი და გამგეობა, შემდგარი ღვეანებისა და ინსპექტორისაგან. მს პირნი ყველანი მთავრობისაგან იქმნებიან დანიშნულნი. უნივერსიტეტის სამსჯავრო გაუქმდება და აქამომდე მისდამი მინდობილს საქმეებს განაგებენ რექტორი, ინსპექტორი და გამგეობა. მზრუნველი სამოსწავლო ოლქისა იქნება სრული უფროსი უნივერსიტეტისა და იქნება უფლებაც გამგეობისა და ფაკულტეტების შეკრებისა. რიცხვი პროფესორებისა, ახლის წესდების ძალით, მატულობს. მსლა ექვსს რუსეთის უნივერსიტეტში უნდა იყოს 321 და ამას იქით იქნება 388. შარდა დაწესებულის კურსისა, პროფესორებს შეეძლებათ სხვა კურსების კითხვაც და პრაქტიკულად მუშაობაც სტუდენტებთან. ამ შრომისათვის პროფესორები მიიღებენ ჯილდოს თითონ სტუდენტებისაგან, ასე რომ რამდენ ლექციასაც ჰკითხულობენ კვირაში, იმდენი მანათი ერგებათ ყოველი სტუდენტისაგან ნახევარ წლის განმავლობაში.

როგორც პროფესორებს ეძლევათ თავისუფლება ლექციების კითხვისა, ისე სტუდენტებს შეუძლიანთ, რომელ პროფესორსაც უნდათ, იმას უგდონ ყური და სხვა ფაკულტეტის ლექციებიც მოისმინონ, ოღონდ ის კურსი

— მანა ეს სამოქალაქო დასაფლავება არ არის? — ეკითხე მე.

— შეიძლება ამაზე ჰოც ვითხრათ და არაც. მღვდელმა არ გამოაცლია. თუ მოისმინთ მითხრა ჩემმა ლაპარაკის მოყვარულმა მეზობელმა, — ეს ძალიან გულ-მოსაკლავი ამბავია. ამ ახალ-გაზდა ქალმა თითონ მოიკლა თავი და ამიტომ სამღვდლოებამ უარი სთქვა დასაფლავებაზე. ის ყმაწვილი კაცი რომ მისდევს, მისი ქმარია.

— ამ გვარმა თქვენმა ლაპარაკმა უფრო აღმიძრა ცნობის-მოყვარება და თუ ამ თხოვნას გაუზღედლობაში არ ჩამომართმევთ, მიამბეთ დაწვრილებით მაგ განსვენებულის ქალის ამბავი.

— ბატონი ბძანდებით, — მიპასუხა მან და მკლავი მკლავში გამიყარა. — ჩამოვრჩეთ პატარა უკან ამ ხალხს და გიამობთ; ვიდრე სასაფლაომდინ მივალთ, კიდევ მოვასწრობ.

— შევე მოგახსენეთ, რომ ამ ქალის ამბავი ძალიან გულ-მოსაკლავი ამბავია-მეთქი. მს მიცვალბული პოლ-ზამის მეუღლე გახლავსთ. მდიდარი ვაჭრის ქონტანელის ქალი იყო. მერთმეტი წლისას საშინელი უბედურება დაემართა. მართმა მათმა მოსამსახურემ გაუპატიურა და კინაღამ ამ

კი გაიარონ, რომელიც ამორჩეული აქვთ.

ისაობა ფაკულტეტების კურსებად დაყოფა და აგრეთვე ერთი კურსი-დამ მეორე კურსზედ გადასაყვანი ეგზამენები. სამაგიეროდ იქნება საბოლოო ეგზამენები განსაკუთრებულ კომისიაში, რომლის წევრნი სახალხო განათლების მინისტრისაგან იქნებიან დანიშნულნი. სტუდენტს, თუ სურს, ეს ეგზამენი დაიჭიროს, უნდა დაჰყოს უნივერსიტეტში რვა ნახევარ წელიწადი (კურსის ნახევარ წლის შემეტრებად იქნება დაყოფილი); ხოლო სამედიცინო ფაკულტეტებზედ — ათი. სტუდენტმა უნივერსიტეტში ყოფნის დროს უნდა უეჭველად მოისმინოს ლექციები, მოაწი-ლოვება მიიღოს პრაქტიკულ მუშაობაში, ანგარიში აძლიოს, თუ რა მოაზრეს უსმენია, ან რა სამეცნიერო თხზულება წაუკითხავს და სხვა მგზამენისიტ შემდეგ კომისია აძლევს პირველის ან მეორე ხარისხის დიპლომს, რომელიც მს როგორც ერთი, ისე მეორე უხსნისს გზას მაგისტრისა და დოქტორის ხარისხამდე. სტუდენტებისაგან შესატანი სწავლის ფული 40—50 მანათზე მეტი არ შესდგება.

როგორც ახლის პროფესორების დანიშვნა, ისე იმათი წინ-წაწევა სახალხო განათლების მინისტრის ხელშია

გაუპატიურებას თან გადაჰყავა. ამ ამბავმა სამსჯავრომდინ მიაღწია და ის უსენიდილო დასაჯეს.

ხალხმა ეს ამბავი, რასაკვირველია, მალე შეიტყო და ამ საცოდავ ბავშვს ზინლით უყურებდნენ. იზრდებოდა მარტო, განცალკევებული და უსახანაგოდ. უფროსებიც კი ერიდებოდნენ. მარც ერთი გამდელი არ თანხმდებოდა გამოეყვანა სასიეროდ ბაღში. როცა კი გამოიყვანდნენ, ყველანი თითო უჩვენებდნენ.

შესაბრაალისი იყო სწორედ ამ ბავშვის ყურება, როდესაც იმის ხნის ყმაწვილები თამაშობდნენ ბაღში და ეს კი განცალკევებული იჯდა თავის გამდელთან და შურით შეჰყურებდა მოთამამეთ. ხანდისხან კი ძალიან გულით მოუნდებოდა თამაშობა, წამოდებოდა ადგილიდამ და მოწიწებით მიუახლოვდებოდა თავის ტოლბავშვებს. ღედები, ან გამდლები წაგლებდნენ ხელს ამ უკანასკნელთ და წაათრევდნენ ხოლომე სახლში. ამ საწვალ ბავშვს ამოუჯდებოდა გული და ტირილით ბრუნდებოდა უკან. როცა მოიზარდა, უფრო ჰგრძობდა და იტანჯებოდა თავისი მდგომარეობით. როგორც სახალიანს დამსულის, ისე ერიდებოდნენ ყველანი.





და, თუ ისურვებს, შეუძლიან პირველი საქმე თითონ ჩაკულტეტს მიანდოს.

ზანსხვავება კიდევ ის არის, რომ ესტა პროფესორები იღებენ მეტად მცირე ჯამაგირს 2000—3000 მანათს და, რაც უნდა ბევრი იმსახურონ, 5000, მანათზე ზევით ვერ წავლენ და ახალის წესდების ძალით კი პროფესორების ჯამაგირი 7000 მანათამდე შეიძლება ავიდეს.

მს არის ორიოდ სიტყვით ჩონჩხი ახალის წესდებისა, რომელიც ბევრით მოგვაგონებს ბერძანის უნივერსიტეტების წესდებას...

სეკრეტრის ან ეგზეკუტორის დანიშვნა კი მიენდობა ერთს კაცს, რადგან დიდი ცოდვა არ იქნება, თუ ამ თანამდებობის პირთ რომელიმე ქალაქი ფორმალურად ვერ დასწერეს, ან სიაში კარგად ვერ შეიტანეს, მაგრამ...

ახალს წესდებას ერთი დიდი ღირსება კი აქვს. სხვა სამსახურის პირებთან შედარებით პროფესორების ჯამაგირი სრულიად მცირე იყო. პროფესორს შეეძლო, თუ 30 წელიწადი იმსახურებდა, რის ვინაობით, 5000 მანათამდე მიეღწია და ჩვეულებრივ კი ელა 2000—3000 მანათი. მს გარემოება ბევრს მათგანს იძულებულსა ჰხდიდა სხვა წყარო ეძიათ ცხოვრებისათვის, პრაქტიკულს საქმეებს გამოსდგომოდნ და თავიანთ საგანზედ გული აეცრუათ. ახალი წესდება, ცოტად თუ ბევრად, ამსუბუქებს მათს მდგომარეობას.

რაც შეეხება კურსიდან კურსზე გადასაყვან ეგზემენების მოსაზრებას, ამ გარემოებასაც შეუძლიან მეცნიერების დამკვიდრებას სტუდენტებ შორის ძალიან ხელი შეუწყოს. ამას იქით სტუდენტები თავიანთ საგნებს მარტო

პრაფერი სასიხარულო არ მოელოდა მას. წარმოიდგინეთ, პირველი ზიარებაც, რომელსაც ისე მოუთმენლად და სიხარულით მოედის ყველა ფრანგის სარწმუნოების ყმაწვილი ქალი, არ აღირსეს.

ჭუხაში რომ გაივლიდა თავისი გუვერნანტით, რადგან მარტო არსად უშვებდნენ, მისი ამხანაგი ქალები, რომელიც იქნება გულით უფრო გაფუჭებულები და გარყვნილები იყვნენ, ზიზღით შესტკვროდნ და სალამს არ აძლევდნ. ზოგიერთი ყმაწვილი კაცები კი მიესალმებოდნ ხოლმე. ჭუხის ბიჭები ბაპტისტას უძახოდნ, რადგან იმ უსიყვარულო მსახურს ბაპტისტი ერქვა. ღედ-მამაც კი მორიდებული იყო და რცხვენოდნ თავიანთ ქალთან ერთად სადმე წასვლისა.

ის იყო ფერ-მკრთალი, ლამაზი და კარგი მოყვანილი ტანადი ქალი. ბევრ ყმაწვილ კაცს მოსწონდა და კიდევ შეირთავდა ცოლად, რომ საზოგადოების კიცხვისა არ შეჰქმნიებოდა.

იმ ხანებში აქ გამოგზავნეს ახალი პრეფექტი, რომელმაც თან მოიყვანა თავისი მდივანი, კარგი ტკიანი და ლამაზი ყმაწვილი კაცი.

ამ ყმაწვილმა კაცმა გაიცნო ფონტანელის ქალი და გაგიჟებით შეუყ

ეგზემენებისათვის კი არ შეითვისებენ, ეცდებიან საფუძვლიანად შეიგონ იგი, რომ თავით ფეხამდე მეცნიერებით შეჭურვილნი წარსდგენ საბოლოო ეგზემენის დროს...

შინაური ძროხისა.

== თბილისის სამსწავლო ინსტიტუტში შესვლის მსურველნი ძალიან ბევრნი ყოფილან წელს. მიუღიათ პირველ კლასში მხოლოდ 15. ამათში 12 რუსი და ორი თუ სამი ქართველი.

== ბარე-ძახეთიდან გვწერენ: «ორი კვირის წინად, თქვენის გაზეთის შემწობით ვაცხადებდი, რომ ყვეილმა ცამეტი დღის განმავლობაში ს. ნინოწმინდაში თხუთმეტი ყმაწვილი იმსხვერპლა-მეთქი. თუმცა ეს რიცხვი 10 აგვისტოდან 31 აგვ. შეორკცდა (30), მაგრამ მტერი მანც თავს არ გვანებებს და ისევ ფაფისებურად მძინვარებს. როგორც ხოლერა შეიქნა საშიშარი შერობაში, ისე ჩვენი თვის ყვეილი. მს წყეული ჭირი რომელ სახლშიაც კი შევიდა, ორზე ნაკლები არ იქმარა მსხვერპლად! საკვირველია, რატომ უურადლებას არ მიაკცვენ ნინოწმინდელის მდგომარეობას?! ხომ კარგად იციან, რომ ჩვენი ხალხი, როგორც უმეცარი ამ საქმეში, არა რაიმე საშუალებას არა ხმარობს ყვეილის წინააღმდეგ!»

== სხინვლიდან გვწერენ: «მსეთში მოსავალს კარგი პირი უნდა და ხალხსაც უხაროდა, ბევრი მოსავალი მოგვეყვო, მაგრამ, სამწუხაროდ, სე

ვარდა. თუმცა ნაცნობები და ამხანაგები ბევრსა ჰკიცხავდნ და ბევრს ავსვლა-პარაკებოდნ ამ ქალზე, მაგრამ არავის უურადლებას არ აქცევდა და თან-და-თან უფრო სიყვარული უცხოვდებოდა. «რა ვუყოთ, უპასუხებდა ხოლმე ნაცნობებს, ვის არ დაემართება ამისთანა უბედურება უცოდინარობით და გაუგებრობით. მასაკიცი ეს ქალი კი არ არის, ის უსიყვარულოა, რომელიც, სარგებლობს შემთხვევით. ამ გვარი კაცი სწორედ საზოგადოებიდან გამოსარიცხია და გასაკიცხი. მე-მიყვარს ის ქალი და, როგორც უნდა იყოს, სულ ერთია». მართლაც, ამ ყმაწვილმა უფრო დაახლოებით გაიცნო და ბოლოს ითხოვა კიდევ ცოლად. მათხოვების შემდეგ ბევრს დაავიწყდა მისი საქციელი და დაიარებოდნ ხოლმე მასთან. ძალიან ბედნიერად სცხოვრობდნ. მალს თავისი ქმარი გაგიჟებით უყვარდა და აღმერთებდა. მართლაც ამან დაიხსნა იგი საზოგადოების ზიზღისა და გადაკვრით ლაპარაკისაგან. საზოგადოებას პირ-და-პირი წინააღმდეგობა გაუწია და შეირთო ცოლად მათგან განკიცხული და განდევნილი ქალი. შველა ამას ქალი კარგად გრძნობდა და დიდ მსხვერპლადც მიანდა თავის ქმრისაგან.

მრთ დღეს აქ სახალხო დღეობა იყო. პრეფექტს უნდა დაერიგებინა სა-

ტყვამ ისე გააფუჭა მოსავალი, რომ ოსებს დიდი ზარალი მოელოთ. სეტყვა მოვიდა აგვისტოს 21. სხინვლის მაზრაში ქართველების ზოგიერთა სოფლებსაც ზარალი მოუტანა.

== ზაზ. «მწყემსში» დაბეჭდილია მიწერილობა უფუშინდესის სინოდის ობერ-პროკურორის პოპედონოსცევისა მისს მალა-ყოვლად-უსამღვდელოების საქართველოს ეგზარხის მთავარ-ეპისკოპოსის პავლესადმი, რომლითაც იგი აცნობებს, შინაურ საქმეთა სამინისტროს განკარგულების თანხმად, რომ გამოუცხადოს თავის ეპარქიის სამღვდლოებას, რათა თვალყური ადევნოს ამ უკანასკნელმა ძველის ნიეთების ძებნას და, უკეთუ აღმოჩნდება რომ შესანიშნავი არხეოლოგიურის და ისტორიულის მხრით, აცნობოს მთავრობას, რომელიც შემდეგ ამ ნაპოვნი ნიეთების შესახებ წარუდგენს რუსეთის სამიწერატორო არხეოლოგიურს კომისიას მოხსენებას, და, თუ ძნელი არ იქნება, თვით ნიეთებსაც განსახილველად».

== ამავე გაზეთს შეუტყუია, რომ მომავალ ნოემბრის 17 ქ. თბილისში დანიშნულია საქართველოს ექსარხოსის მიერ სავარქიო სამღვდლოების ეპუტატების შეკრებილება ფრიად საყურადღებო საგანზე მოსალაპარაკებლად.

== ბურიიდან გვწერენ, რომ იქ ძალიან გამრავლებულია თურმე გარეული ღორი და დათვი და დიდს ზიანს აძლევს სიმინდებს და საზოგადოდ მოსავალს. ხალხმა რომ ველარა მოუხერხარა ამ თავის დამღუპველ

ჩუქრები და ამიტომ ყველა თავისი მოხველებით აქ იყო. ამ უქმე დღეს დიდი-ძალი ხალხი დაესწრო. პრეფექტმა სიტყვა წარმოსთქვა და იმის შემდეგ მის მდივანს, პოლ ზამენს უნდა დაერიგებინა საჩუქრები. ძარგად მოგვსენებათ, რომ ამ შემთხვევაში ძნელად ჩაივლის საქმე მშვიდობიანად.

შველაზე პირველად წინ წარმოდგა მოხუცებული კაცი, მორმილიონი, რომელიც მეორე ხარისხის საჩუქარზე იყო წარდგენილი.

მდივანმა ჩააბარა მას თავისი საჩუქარი. მორმილიონს ეწყინა მეორე ხარისხის საჩუქრის დანიშვნა და იმიტომ ისევ უკან გადმოუდგო პოლ-ზამენს და დაუმატა: «ეს საჩუქარი შენს ბაპტისტას მიეცი». აქ ძალიან ბევრი დაბალი ხალხი იყო. ამ შემთხვევაში ხალხს არც სიბრალული და არც პატივისცემა აქვს ვისმესი. შველამ შეჰქნა საზარელი ყვირილი და სიცილი:

«ბი ბაპტისტა».

საცოდავი ქალი ამ სიტყვაზე თითქმის კკუილად შეიშალა. სამჯერ წამოვარდა, უნდოდა გამოსვლა, მაგრამ ხალხი ისე ირეოდა, რომ გზას ვერ გააგებდა. შველა იმას შეჭურებდა. ხალხი იცინოდა, სხვა-და-სხვა უპატიურ სიტყვებს ჰყვიროდა. პოლ-ზამენი გამწარებული მივარდა იმ ბრიყვს კაცს

მტრებს, მახეები დაუჭირა, ჩაეჭრა, სამწუხაროდ, ამ გვაზ. მსხვერპნი სულიერნი ებმიან, ვიდრე ოთხთხეი ნადირო. ამას წინად ერთს სოფელში მინდვრად გლესს თოფი მოეწყო თოკით, ისე რომ, ოდნე განძრევის უმაღ, უნდა გავარდნილიყო. მრთს კაცს გავარნა, წამოსდებოდა თოკს, თოფი გავარდნილიყო და იქვე გაგებია სული საწყალს. მეორე ამ გვარი შემთხვევა ამ ორის კვირის წინად მოხდა მეორე სოფელში. მსხვერპლად შეიქმნა 20 წლის ყმაწვილი ბიჭი.

== «ნოვოე ობობრენიე» გეაცნობებს, რომ თბილისში წყლის გაყვანის პროექტის შედგენა უკისრია საფრანგეთის ინჟინერს არმენიდ დიუმონს, რომელიც ამ საქმეში გამოცდილ და მკოდნე პირად ითვლება.

== ბაღდადის მილიეტში, როგორც გაზ. «ქარსი» ამბობს, სრულიად მოსპობილა ქამი. მაგრამ მანცა-და-მანც ადგილობრივ სანიტარულ ინტენდანტსტევას, თუმცა პირველი ძორღონი აუხსნია კირიანი თემებისათვის, მეორე დაურჩენია ისევ; დაურჩენია აგრეთვე 15 დღიური კარანტინი იმათთვის, ვინც იქიდან მოდიანო.

== ზაზ. „ქარსივე“ ჩივის, რომ წრევანდელი მოსავალი ქარსის მაზრაში მცირე და ნაკლებია. ძალიან ბევრგან დაისეტყვა ყანები და ქერები და დიდი ზარალი მიეცა მცხოვრებლებს. ძალიანში სეტყვამ გააფუჭა ხეხილი. ახლად დასახლებულთ მოსავალი უფრო ცუდი იყო წელს, რად და წაუჭირა კისერში ხელი. მრივე დაეცნენ დეღამიწაზე.

როცა ხალხი დამშვიდდა და გაიკრიფა, პოლ-ზამენმა მოჰკიდა ხელი თავის ცოლს და გამოემგზავრა სახლისკენ. საწყალი კანკალით და სულ-განაბული მისდევდა თავის ქმარს. ხიდს რომ მიუახლოვდნ, საცოდავი ქალი გამოუსხლტა ხელიდან ქმარს და ერთის თვალის დახამამებაზე გადავარდა კიდევ წყალში. ასე დაიღუპა თავი ამ საცოდავმა.

ამბის-მზობელი გაჩუმდა პატარა ხანს და ბოლოს დაუმატა: «ამ ნაირ ბრიყვს და გაუნათლებელ საზოგადოებაში მაინც ვერ მოისვენებდა».

— მხლა ხომ გაიგეთ, რატომ არ მოსდევს მღვდელი მიცვალებულს.

ჩვენ მიუახლოვდით სასაფლაოს. მოეუცადე, მანამ ჩაასვენებდნ საფლავში ამ საზოგადოებისაგან გაუბედურებულ მსხვერპლს; როცა ვაათავეს დასაფლავება, მიევი იმის ქმართან და მეგობრულად ხელი ჩამოვართვი. იმან ნამტირალევის ხმით დიდი მადლობა გადამიხადა.









# ინტერსანტი

**გაზაზა**  
 ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელ-დახელ 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

გამომცხვარი შური რუ-სეთის ფუქვილისა — 1 გირ. 5 კ.

აქაურის ფუქვილისა: პირ-ველის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2 კ.

მეორისა — 1 გ. 2 კ.

იმავე ფუქვილ. თორნიში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის — 1 გ. 4 1/2 კ.

მეორისა — 1 გ. 3 კ.

მესამისა — 1 გ. 2 1/2 კ.

ჟვარის-მაში შური:

პირველი ხარისხ. ლავაში 1 გ. 4 1/2 კ.

მეორის ხარისხ. ლავაში 1 გ. 3 1/2 კ.

მესამისა — 1 გ. 3 კ.

ძირის ხარისხისა: პირველის ხარისხისა — 1 გ. 7 კ.

მეორისა — 1 გ. 6 კ.

სუვი — 1 გ. 14 კ.

ცხურის ხარისხი — 1 გ. 7 კ.

ლორის ხარისხისა: პირველის ხარისხისა — 1 გ. — კ.

მეორისა — 1 გ. — კ.

**რაინის ვაზა**  
 თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით თბილისიდან მარტო სამურაბდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით სანქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.


ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. დილით.

მარტო სამურაბდინი მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (პარსკეობით სანქარო 7 ს. 53 წ. დამ.)

**განცხადება**  
 პანსონი ა. პირაზაშვილისა.  
 გადავიდა მლინავეტინსკის ქუჩაზედ, ტერ-სააკოვის სახლებში, № 114.  
 მოწათვით მიდებენ სექტემბრის 1-დგან დაიწყება. (10—6)

თბილის სამეურნეო საზოგადოების სამმართველოში ისყიდება ახალად და-ბეჭდილი წიგნი:  
**აბრეჯის შიხ ალმანახა**  
 შედგენილი  
 აჩილ და რეჟანს შვილისაგან  
 ფასი 15 კაპ. (2—1)



**ინლისური რაინის კაროტაჟი.**  
 ერთის სარწალი 7 მანეთიდან და ორის სარწალი 14 მანეთიდან, მათი ლეიბები, ზღვის ბაღასით გატენილი 5-დან 8 მანეთამდე. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25% ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანის მუტა-ლის ნივთები, ჩაიდნები, სკანდინავი-ისა, ჩაი, ჩაის და სტოლის კოფეები ჩანგ-ლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოკინი, სარწა-სკები, რიუშკები, გრაფინები, სარწა-სკები, ბლიუდები, სასაღათები, ტა-სტები, სარწაქები, სამარალები, გარნი-ცის საფუკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ალერები, ხლისტები, ტანის-მოსის დასაყიდებლები, საბაღა მკრატ-ლები, გაქსები, უთოები, წისკვილები, სერსები, ქაღები, კლიტები, ინგლისის თოფები და რეკოლკები, ზიუები, ზა-რიადები, კანსიულები, საფანგები, ნი-ბები, გატეკნები, სახები, ჩუქები, წინდები, სუფრები, საღებავებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურა-ბები, ვამიეტები, პიგულები, სოფსები, ზღვის ბაღასი, დიმიტიანები და სხვ.  
 ინგლისურს მალაზიებში № 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს უწოდება მიაქვით. (100—46)

**ინგლისის მალაზია**  
 Maison de confiance  
 შედარეთ ჩვენი ჩაი მოსკოვის ჩაის

1 გ. 10 კ.	1 გ. 40 კ.
— 1—20	— 1—60
— 1—40	— 1—80
— 1—60	— 2—
— 1—80	— 2—50

სუფოკინი 2—, 3—, იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თო-ფები, რეკოლკები, გრაფინები, ჭუ-რჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვრები, ტაშტები, გაღები, ქაღალი, შოკოლადი, კაპო, კანფები, მურაბე-ბი, მანეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახო-ცები, მაინტოშის კალენკოტი—სულ ვეკლათური 25-დამ 50 ზრტყენით უფ-რო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მა-ლაზიაში.

ვინც ქალქს გარედა 25 მანეთადამ 1,000 მანეთამდე საქონელს გამოი-წერს, გასაგზავნს არაფერს არ ის-ღის. (100—58)

**არწრუნისულ მარკასლავი**  
 სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მალაზიები, სადგურები კან-ტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—25)

**აფთიაქი**  
 აივანოვისა გადავიდა ერევნის მეიდანზე სამოქალაქო სახლში.  
 (10—7) არენატორი მ. ალფროვი.

**ვაჭრობა საღებავებით**  
 ძაქვის ამხანაგობისა (ზრატის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)  
 საღებავები ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.  
 ლამი ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი ხანბალი (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი საღებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლე-ბა იზოვონ ერთგვარი თხელი ნივთიერება, რომელიც სინოტიეს აცილებს თავიდან. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტიესათვის.  
 სხვა ქალაქებიდან მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუკვირებ-ლად. (70—52)

**საგლობუსო**  
 რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საატეო ინგლისის მალაზია. იქვე აჭარბებული სხვა-და-სხვა გვარი კალ-მები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალი, კანფები, რეკოლკები, ლაქი, კანდაში, პენალი, გაღები, ბუმაყნი-კები, ზორტ-სავარები, ალბომები, რამები, მკრატლები, სამართებლები, სან-თელი, სალესი, ცანაშკები ჭურჭლის სარწმედად (ბორაკსი) თეთრეული-სათვის, მატარა ხალები იატაკისათვის, კლიონები, ტახტები, სავარძლები, სარკე-ები, სავარცხლები, ბუზმენი, ზარები, ბინოკლები რეკოლკები, გატეკნები, მზის-სათები, გოპასები, ტერმომეტრები, ტეკები, ნემსები, მაგნიტები, სვის-ტოკი, ზომიანი, ქამრები, სარტყლები, ზრტყები, სამრტყები, კანები, ფილ-ტრები, შორტები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და ზატენტიანი მაინტოშები, კანკები, სუქი ქაღალი ვატეკ-გლობუსისათვის და სხვ. და სხვ.  
 პატაშვილი—20 კ. (100—4)

**ინგლისის მალაზიაში**  
 თბილისამოქვედანი მაკ-მასტერი  
 ამგვრებს თმას და ადრინდელ აქვე იყიდება ქინის ზომად ფერს აძლევს, ფასი ერთი შუ-შისა 2 მან., გაგზავნილ 2 მანეთი და 28 კაპ.  
 (100—64)



**სამხრეთი**  
 მოკლე ისტორია  
 მოსე ჯანაშვილისა.  
 შასი 60 კოპ.  
 ვინც პირ-და-პირ გამოცემისგან (Тифлисъ Михайлов. ул. № 4-Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 კვ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპიკად. (10—1)